საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2927/01
16/03/2020

2927-01-2-202003161745

შპს „Portal"-ს

მის: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. N19

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2020 წლის 4 თებერვლის N1755 წერილით სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება შპს „Portal"-ის 21000 მ^3 ტევადობის (24000 მ^3 წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობპროდუქტების საცავების ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (სანიაღვრე წყლების გამწმენდი ნაგებობის „VoDCO CH/2-10 (ПМК)"-ის „KTP-EMO" მოდელის გამწმენდი ნაგებობით ჩანაცვლება) სკრინინგის განცხადებას და გაცნობებთ შემდეგს:

სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, შესაძლო ზემოქმედების შესახებ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-6 ნაწილში მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს „VoDCO CH/2-10 (ПМК)" და „KTP-EMO" გამწმენდი ნაგებობების ტექნიკური მახასიათებლები, ტექნოლოგიური სქემები და გამწმენდი ნაგებობის განთავსების GPS კოორდინატები.

ასევე მითითებულია, რომ ჩამდინარე წყლების ჩაშვება დაგეგმილია მშრალ ხევში. შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს აღნიშნული მშრალი ხევის შესახებ ინფორმაცია და ჩაშვების წერტილიდან რა მანძილზეა უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (ზედაპირული წყლის ობიექტის დასახელებით).

ასევე სკრინინგის განცხადების თანდართული „KTP-EMO" მოდელის გამწმენდის საპასპორტო მონაცემები, სამინისტროში განსახილველად წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს თქვენ მიერ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება. გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით აღნიშნულ საქმიანობაზე იმსჯელებს მას შემდეგ, რაც უზრუნველყოფთ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი დოკუმენტაციის სამინისტროში განმეორებით წარმოდგენას ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე